ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ

საადვოკაციო დოკუმენტი

საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით, 2023 წელს რაჭასა და გურიაში განვითარებული მოვლენების მაგალითზე

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ

საადვოკაციო დოკუმენტი

საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის
კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით, 2023 წელს რაჭასა
და გურიაში განვითარებული მოვლენების მაგალითზე

თბილისი
2023

დოკუმენტი მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ანგარიშის ხელმძღვანელები: თამარ ონიანი

ავტორები: ანა ბერიძე
შორენა ლოლაძე
დავით ჯავახიშვილი

რედაქტირება და ყდის დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

ორგანიზაცია მადლობას უხდის საიას სისხლის სამართლის ადვოკატ ჯემალ ჭკადუას
დოკუმენტზე მუშაობისას შეტანილი წვლილისთვის

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 5

1. 2023 წელს რაჭასა და გურიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტობრივი მონაცემები 7

1.1. შოვი, რაჭა 7

1.2. ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები, გურია 8

I. ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება – რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს? 9

II. კატასტროფების რისკების მართვასთან დაკავშირებული საკითხები 13

საკითხი N1: ვინ არის ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო კატასტროფების რისკების მართვაზე? 13

საკითხი N2: რამდენად სრულყოფილია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონი? 13

საკითხი N3: არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი? 15

საკითხი N4: არსებობს თუ არა საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირებისა და მართვის პოლიტიკის დოკუმენტები? 17

საკითხი N5: რატომ არ არსებობდა ადრეული გაფრთხილების სისტემა? 19

i. რისკების გამოვლენა და შეფასება 19

ii. მონიტორინგი 20

iii. ინფორმაციის გავრცელება 21

iv. გაფრთხილებაზე სათანადო რეაგირების შესაძლებლობა 21

v. რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს ადრეული გაფრთხილების სისტემასთან დაკავშირებით? 22

საკითხი N6: არსებობდა თუ არა საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმები? 23

საკითხი N7: რა შესაძლო ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს რაჭასა და გურიაში მიმდინარე საქმიანობებსა და ბუნებრივ კატასტროფებს შორის? 25

III. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ეტაპი 27

საკითხი N8: შეესაბამება თუ არა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ეტაპი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს? 27

IV. ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვასთან
დაკავშირებული საგამოძიებო პროცესი 32

საკითხი N9: პრევენციული ღონისძიებების
განხორციელებასთან დაკავშირებული საგამოძიებო პროცესი 32

საკითხი N10: სტიქიურ მოვლენაზე რეაგირება 33

საკითხი N11: რომელმა საგამოძიებო ორგანომ უნდა
წარმართოს გამოძიება? 33

საკითხი N12: რა კვალიფიკაციით უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება? 34

საკითხი N13: დაზარალებულთა ჩართულობა საგამოძიებო პროცესში 34

შესავალი

საქართველოში გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები და მათთან გასამკლავებლად ქვეყანაში არსებული არაეფექტიანი სისტემა ყოველდღიურად საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და განვითარებას. სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს ავალდებულებს სათანადო ნაბიჯების გადადგმას საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში,[1] რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთი საფრთხეებისგან დაცვას, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფოსგან არ მომდინარეობს.[2] უფლების დაცვის ევროპული სტანდარტი მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც შესაძლებელს გახდის სტიქიური უბედურებების დროს სიცოცხლის დაკარგვის თავიდან აცილებას, მაშინაც კი, თუ თავად სტიქიური მოვლენები ადამიანის კონტროლის მიღმაა.[3] სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სათანადო საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც რისკის შემცველ ზონებში შექმნის ადეკვატური დაცვისა და გაფრთხილების ინფრასტრუქტურას, უზრუნველყოფს მსგავს არეალებში მიმდინარე პროცესების ზედამხედველობასა და, სხვადასხვა სახის ხარვეზის გამოვლენისას - მათ გამოსწორებას.[4] სიცოცხლის მოსპობის დროსაც კი, უფლებით დაცული გარანტიები არ წყვეტს მოქმედებას. ასეთ შემთხვევებში, სათანადო უწყებები ვალდებულნი არიან, წარმართონ დროული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება, რომელიც დაადგენს ბუნებრივ კატასტროფასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. გამოძიება ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ფაქტების დადგენაზე, არამედ, ასევე, უნდა აიდენტიფიცირებდეს იმ სისტემურ ხარვეზებსა და პასუხისმგებელ ინდივიდებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სტიქიურ მოვლენათა ჯაჭვის განვითარებას[5] განზრახ თუ გაუფრთხილებლობით.

ეს დოკუმენტი ეხმიანება რაჭასა (2023 წლის აგვისტოში) და გურიაში (2023 წლის სექტემბერში) მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებულ გარემოებებს, რათა დაისვას საკვანძო შეკითხვები როგორც სტიქიური მოვლენების გამომწვევი მიზეზების, ისე სამაშველო ოპერაციის მართვის ეფექტიანობის შესახებ. არსებითია, ეს შეკითხვები არ დარჩეს პასუხგაუცემელი შესაბამისი უწყებების მხრიდან, ვინაიდან სიცოცხლის უფლების დაცვის კონტექსტში სახელმწიფოს სხვადასხვა ვალდებულება ეკისრება, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაში უნდა იყოს კატაკლიზმებით წარმოშობილ გამოწვევებთან.[6]

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი მნიშვნელოვნად არის გაუარესებული.[7] აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტის მი-

---

[1] *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, no. 46477/99, 2002.03.14, § 54.

[2] *Öneryıldız v. Turkey* [GC], no. 48939/99, 2004.11.30, § 71.

[3] *Budayeva and Others v. Russia,* nos. 15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02 and 15343/02, 2008.03.20 § 135.

[4] *Budayeva and Others v. Russia,* nos. 15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02 and 15343/02, 2008.03.20 §§ 158-160.

[5] *Öneryıldız v. Turkey* [GC], no. 48939/99, 2004.11.30, § 94.

[6] სახელმწიფო სიცოცხლის უფლებას დაარღვევს, თუ, საჭიროების შემთხვევაში, არ მოხდება სათანადო კონსტრუქციის აგება, წინასწარი გაფრთხილების სისტემის დანერგვა, განაშენიანების სათანადოდ გეგმარება, საევაკუაციო გეგმის შედგენა და ა.შ. ამასთანავე, ყოველთვის მიიღება მხედველობაში, რამდენად განჭვრეტადი იყო სახელმწიფოსთვის ესა თუ ის სტიქიური მოვლენა და რა მოიმოქმედა მან მძიმე შედეგების თავიდან ასარიდებლად.

[7] იხ. IDFI, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში, 2022, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/00_studies/2023/access_to_public_information_in_georgia_2022.pdf, ბოლო ნახვა: 26.10.2023.

ზანია, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პარალელურად, მიმოიხილოს არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება და გამოკვეთოს გარემოებები, რომელთა გამოკვლევა, შესწავლა და ანალიზი აუცილებელია, რათა სათანადოდ შეფასდეს: რამ გამოიწვია რაჭისა და გურიის ტრაგედიები, შეიძლებოდა თუ არა ადამიანური მსხვერპლის თავიდან არიდება, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა და რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ მსგავსი საფრთხეების თავიდან ასარიდებლად. <u>საჯარო ინფორმაციის მიღების კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ საია საზოგადოებას მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას უწყებების მიერ მოწოდებულ პასუხებთან დაკავშირებით.</u>

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, აღნიშნული საადვოკაციო დოკუმენტი ეფუძნება საქართველოში ბუნებრივი კატასტროფის რისკის მართვასთან დაკავშირებული **კანონმდებლობის ანალიზს.** კონკრეტულად, მასში განხილულია, რა ტიპის საკანონმდებლო მოწესრიგება არსებობს ამ მხრივ ქვეყანაში როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე და რა ვალდებულებები აკისრიათ სახელმწიფო ორგანოებს ბუნებრივი კატასტროფის რისკის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტში გამოკვეთილია ის **საერთაშორისო ვალდებულებებიც,** რომლებიც საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ეკისრება, აგრეთვე, ხაზგასმულია ამ ვალდებულებათა სწრაფად და ეფექტიანად შესრულების საჭიროება. გარდა ამისა, მასში განხილულია ქვეყანაში არსებული **პოლიტიკის დოკუმენტები,** სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ბუნებრივი კატასტროფის რისკის მართვის სფეროში, რათა უკეთ გამოჩნდეს, რა გამოწვევებისა და საჭიროებების წინაშე დგას სახელმწიფო, როგორ სრულდება ამ დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნები და კონკრეტული ქმედებები. საჯაროდ ხელმისაწვდომი ოფიციალური მასალებისა და მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, დოკუმენტში გაანალიზებულია, თუ რა პრობლემები, გამოწვევები და სავარაუდო დარღვევები შეიძლებოდა გამოვლენილიყო სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რაჭასა და გურიაში ბუნებრივი კატასტროფის რისკის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების დროს. ასევე, მიმოხილულია **ეფექტიანი გამოძიების** წარმოების საერთაშორისო სტანდარტები და გამოკვეთილია მიმდინარე საგამოძიებო პროცესში არსებული ხარვეზები.

1. 2023 წელს რაჭასა და გურიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტობრივი მონაცემები

1.1. შოვი, რაჭა

2023 წლის 3 აგვისტოს შოვში, რაჭაში განვითარებულ ღვარცოფულ მოვლენას, 2023 წლის სექტემბრის ოფიციალური მონაცემებით, 32 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.[8] **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს** (შემდეგში „სააგენტო') დასკვნის მიხედვით, მდ. ბუბისწყლის ხეობაში 3 აგვისტოს გამოვლინდა 5 სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენის (მყინვარის ინტენსიური დნობა; ნალექების მოსვლა წვიმის სახით; სათავეებში კლდეზვავის ჩამოშლა; მეწყრულ-ეროზიული პროცესები; ღვარცოფის გავლა) თანხვედრა, რამაც ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება გამოიწვია.[9] ამასთანავე სააგენტო ხაზს უსვამს, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში მდ. ბუბისწყლის ხეობაში „მნიშვნელოვანი ხასიათის ღვარცოფული ნაკადების გავლას ადგილი არ ჰქონია".[10] ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ *„აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო ბოლო პერიოდში მომატებულმა ჰაერის ტემპერატურულმა ფონმა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა მყინვარების ინტენსიურმა დნობამ და თანმდევმა ატმოსფერულმა ნალექებმა".*[11]

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული **2021 წლის** გეოლოგიური ბიულეტენის მიხედვით, **„შოვი სტიქიური გეოლოგიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბულ უბნებს მიეკუთვნება".**[12] მიუხედავად იმისა, რომ ბიულეტენში საუბარია მდ. დღვიორასა და მის კალაპოტში განვითარებული ღვარცოფული პროცესებიდან შოვის ინფრასტრუქტურისთვის შექმნილ საფრთხეზე, აშკარაა, რომ კურორტი შოვი მაღალი რისკის ქვეშ მოქცეულ უბანს განეკუთვნება და აქ აუცილებელი იყო შესაძლო რისკებისა და საფრთხეების სრულყოფილად გამოკვლევა, ანალიზი და მონიტორინგი.[13] გარდა ამისა, წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა კონკრეტულად მდ. ბუბისწყლისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ ინფორმაციას ხშირად აწვდიდა ადგილობრივ ხელისუფლებას, მოითხოვდა მდინარის ნაპირების გამაგრებასა და, ზოგადად, შოვში გარემოს მდგომარეობით დაინტერესებას.[14]

ამ ინფორმაციის საფუძველზე, საჭიროა, სათანადო, დასაბუთებული პასუხები გაეცეს ყველა იმ კითხვას, რომლებიც შოვში განვითარებულ მოვლენებს შეეხება. იმავდროულად, აუცილებელია, გამოიკვეთოს პასუხისმგებელი ორგანოები, რომლებსაც

---

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, „სტიქიის ზონაში სამძებრო-სამაშველო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება - მაშველების მიერ კიდევ ერთი ცხედარია ნაპოვნი" (10 სექტემბერი, 2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/svU29, ბოლო ნახვა: 18.09.2023.

[9] გარემოს ეროვნული სააგენტო, „2023 წლის 3 აგვისტოს მდ. ბუბისწყლის ხეობაში (მდ. ჭანჭახის აუზი) განვითარებული სტიქიური მოვლენების პირველადი შეფასება", მე-5 გვერდი, ხელმისაწვდომია: https://nea.gov.ge/ge/News/1178, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[10] იქვე, მე-2 გვერდი.

[11] იქვე, მე-5 გვერდი.

[12] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, „გეოლოგიური ბიულეტენი" (2021), ხელმისაწვდომია: https://greenalt.org/mwvane-alternativas-ganckhadeba-shovshi-ganvitarebul-movlenebze/, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[13] იქვე.

[14] „გარემოს ეროვნული სააგენტო: შოვის ტრაგედია ბევრი ფაქტორის თანხვედრამ გამოიწვია", Civil.ge, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/554651, ბოლო ნახვა: 15.09.2023; სოციალურ ქსელ Facebook-ით 2020 წელს გავრცელებული ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/opwFK, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

ამ ტრაგედიის თავიდან არიდება და ბუნებრივ კატასტროფაზე სათანადო რეაგირება ევალებოდათ.

1.2. ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები, გურია

2023 წლის 8 სექტემბერს გურიაში ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეულმა მეწყერმა და წყალდიდობამ სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.[15] ორი არასრულწლოვანის ცხედარი - სოფელ ჯუმათში, ერთი ზრდასრული ადამიანის ცხედარი კი სოფელ სილაურში იპოვეს.[16] ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები.[17] 35 ოჯახზე გაიცა რეკომენდაცია გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადაყვანის შესახებ.[18] გურიაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების მართვის სისტემის კრიტიკული ანალიზისა და იმ პასუხისმგებელ ორგანოთა გამოკვეთის საჭიროება, რომლებსაც ქვეყანაში ადამიანების უსაფრთხოების დაცვა ევალებათ.

[15] „გურიის მეწყრის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა“, Civil.ge (8 სექტემბერი, 2023), ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558359, ბოლო ნახვა: 15.09.2023; „წყალდიდობა და მეწყერი გურიაში - ეძებენ 2 არასრულწლოვანსა და 1 ზრდასრულს“, netgazeti.ge (8 სექტემბერი, 2023), ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/686823/, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[16] იქვე.

[17] გარემოს ეროვნული სააგენტო, „სააგენტოს სპეციალისტების ჯგუფები სტიქიის ზონაში რჩებიან და რეგიონში განვითარებული მოვლენების შესწავლას აგრძელებენ“ (10 სექტემბერი, 2023), ხელმისაწვდომია: https://nea.gov.ge/Ge/News/1190, ბოლო ნახვა: 18.09.2023.

[18] იქვე.

I. ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება – რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს?

თანამედროვე მსოფლიო და, მათ შორის, საქართველო სამმაგი პლანეტარული გამოწვევის წინაშე დგას. კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების განადგურება და გარემოს (წყლის, ჰაერის, ნიადაგის) დაბინძურება რისკის ქვეშ აყენებს ადამიანის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.[19] კლიმატის ცვლილების თანმდევი უარყოფითი შედეგები, გახშირებული და სულ უფრო ინტენსიური ხასიათის ბუნებრივი კატასტროფები - წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, გვალვა, სითბური ტალღები - იმ საფრთხეების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც კლიმატის ცვლილებას თან ახლავს.[20]

დღესდღეობით კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები უკვე აისახება საქართველოზეც. კონკრეტულად, ქვეყანაში უკვე შესამჩნევად არის გაზრდილი ისეთი ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე, როგორებიცაა: მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, გვალვა, წყალდიდობა და სხვა, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლესა და მათ სათანადო განვითარებას.[21] სწორედ ამიტომ, ადამიანთა უფლებების დაცვისა და მათი ღირსეული არსებობისთვის, აუცილებელია, საქართველომ სწრაფად და ეფექტიანად შეასრულოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები კლიმატის ცვლილების შედეგებთან ადაპტაციის, ბუნებრივი კატასტროფებისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან არიდებისა და შემცირების მიზნით.

<u>საქართველოს კონსტიტუციის თანახმად,</u> ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება აღიარებულია 29-ე მუხლით. ამ მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი სიკეთეებით და საჯარო სივრცით. ამ უფლების სათანადოდ დაცვა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებებით სათანადოდ სარგებლობისთვის, როგორებიც არის: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, განვითარების უფლებები და სხვა. მათ დასაცავად, სახელმწიფო ვალდებულია: გაატაროს შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ხასიათის ღონისძიებები; დაიცვას ადამიანები გარემოს დაბინძურების, მისი დეგრადაციისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან მომდინარე საფრთხეებისგან.

საქართველოს კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის სფეროში სხვადასხვა **საერთაშორისო ხელშეკრულებით**, მათ შორის, 2015 წლის **პარიზის ხელშეკრულებითა** და **საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით** არაერთი ვალდებულება აქვს ნაკისრი**.** ეს ვალდებულებები ასევე მოიცავს კლიმატის ცვლილებასთან სათანადო ადაპტაციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულია საქართველოსა და ევროკავშირის თა-

[19] Office of the United Nations High Commissioner for Human Rights ('OHCHR'), 'Safe Climate: A Report of the Special Rapporteur on Human Rights and the Environment' (2019) UN Doc A/74/161.
[20] United Nations Environment Programme, 'Climate Change and Human Rights' (2015) 1-3, ხელმისაწვდომია: https://www.unep.org/resources/report/climate-change-and-human-rights, ბოლო ნახვა: 14.09.2023.
[21] Climate Forum East (CFE) and Georgia National Network on Climate Change, 'National Climate Vulnerability Assessment: Georgia' (2014) ხელმისაწვდომია: https://climateforumeast.org/uploads/other/0/771.pdf, ბოლო ნახვა: 14.09.2023.

ნამშრომლობის განვითარების საჭიროება ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, შესაბამისი მზადყოფნისა და მათზე რეაგირების მიმართულებით.[22] აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და შესარბილებლად ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება იმ გარემოსდაცვით დირექტივებთან, რომელთა იმპლემენტაციის ვალდებულება საქართველომ ასოცირების შეთანხმებით აიღო. ეს დირექტივები მოიცავს გარემოს სხვადასხვა კომპონენტის სათანადოდ დაცვისა და მდგრადი მართვის საკითხებს, მათ შორის, ისინი შეეხება ტყეს, წყალს, ჰაერს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და სხვა გარემოსდაცვით მიმართულებებს.[23]

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მიმართულებას მოიცავს **საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტიც**.[24] ამ დოკუმენტის მე-5 თავში ჩამოთვლილია მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს შესწავლასა და შეფასებას, რათა სათანადოდ დაიგეგმოს საადაპტაციო ღონისძიებები. 68-ე პარაგრაფის მიხედვით, *საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია ექსტრემალური ამინდით გამოწვეული ზარალისა და ზიანის შემცირება.* მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ იღებს საადაპტაციო ღონისძიებების გატარების ცალსახა ვალდებულებებს და, ძირითადად, შემოიფარგლება საადაპტაციო საჭიროებების შესწავლისა და სხვადასხვა ზომის მიღების ხელშეწყობის აუცილებლობის აღიარებით, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო, თავისთავად, ვალდებულია, ეფექტიანად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის, ეს ეხება ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცვასაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ გააჩნია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა, რაც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი იქნებოდა კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს სხვადასხვა რეგიონისა და სექტორის დღითიდღე მზარდი მოწყვლადობისა და გახშირებული ბუნებრივი კატასტროფების გათვალისწინებით.[25] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ დროულად იმოქმედოს თავისი გაცხადებული მზაობის შესაბამისად და დროულად შეიმუშაოს ეროვნული გეგმა, რისთვისაც მას უკვე მოძიებულიც აქვს შესაბამისი ფინანსები.[26]

სენდაის სამოქმედო გეგმა - აღსანიშნავია, რომ საქართველო არის სენდაის ჩარჩო-დოკუმენტის ხელმომწერიც. კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა (2015-2030) არის გაეროს მიერ 2015 წელს მიღებული ის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლის მიზანია, არსებითად შეამციროს კატასტროფების საფრთხე და, შესაბამისად, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა,

[22] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის [2014], OJ L 261/4, 279-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xEqrTo, ბოლო ნახვა: 14.09.2023.
[23] იქვე, მე-3 თავი.
[24] საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) (2021), მე-5 თავი, ხელმისაწვდომია: https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50125, ბოლო ნახვა: 15.09.2023.
[25] საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი „საქართველოს კლიმატის კანონის მწვანე წიგნი“ (2023), გვ. 32.
[26] იქვე.

თავიდან აირიდოს და არსებითად შეამციროს შესაძლო მატერიალური და ეკონომიკური ზარალი.[27]

კატასტროფების რისკის სამართავად ის გამოყოფს 4 ძირითად მიმართულებას:

1. **კატასტროფის რისკის გააზრება:** სახელმწიფოებმა უნდა შეაგროვონ შესაბამისი მონაცემები, შეაფასონ და მუდმივად ეწეოდნენ რისკების მონიტორინგს, **განავითარონ ადრეული გაფრთხილების სისტემები.**

2. **კატასტროფის რისკის მართვის სისტემის გაძლიერება:** სახელმწიფოებმა უნდა შექმნან შესაბამისი კანონმდებლობა, მიიღონ სათანადო რეგულაციები და კატასტროფის რისკის შემცირება აქციონ პრიორიტეტად.

3. **ინვესტიციები კატასტროფის რისკის შემცირების მდგრადობისთვის:** სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეიწყონ საჯარო და კერძო ინვესტიციებს კატასტროფის რისკის თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად. მათ უნდა შექმნან შესაბამისი, რისკების მიმართ მდგრადი ინფრასტრუქტურა და საჭირო თავდაცვითი მექანიზმები.

4. **მზაობა ქმედითი რეაგირებისა და აღდგენისთვის:** სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები, ამ პროცესში უნდა ჩართონ დაინტერესებული პირები, გაზარდონ კატასტროფებზე რეაგირებისა და აღდგენისთვის საჭირო შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ, სიცოცხლის უფლების გარდა, გარემოსთან დაკავშირებული საკითხები ასევე მიემართება ისეთ უფლებრივ გარანტიებს, როგორებიცაა: საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, წამების აკრძალვა, სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება და საკუთრების უფლება. ასევე, სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის კონტექსტში უმნიშვნელოვანესია **ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება.** საქართველოს კონსტიტუცია ცხადად ადასტურებს „[...] *ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ* [...]“.[28] სწორედ ამ უფლების გამოხატულებაა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ა“ პუნქტიც, რომლის მიხედვითაც, გარემოს შესახებ ინფორმაცია იმ ინფორმაციათა ნუსხაშია შეტანილი, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია. ნორმის მიხედვით, *„ყველას აქვს უფლება, იცოდეს: ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე, იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“*. შესაბამისად, სახელმწიფოს ამგვარი მონაცემების გაცემასთან მიმართებით განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა მართებს. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთია ორჰუსის კონვენციით განმტკიცებულ პროცედურულ უფლებებს შორის.[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გარე-

[27] UN, სენდაის სამოქმედო ჩარჩო პროგრამა (2015-2030), ხელმისაწვდომია: https://www.undrr.org/publication/sendai-framework-disaster-risk-reduction-2015-2030, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[28] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, პუნქტი 1.

[29] საია, გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები, 2021, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/GetFileAttachment-13.pdf [19.10.2023]. იხ. „გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-4 მუხლი.

მოსთან დაკავშირებული ინფორმაცია მსურველს სრულყოფილად უნდა მიეწოდოს, ხოლო არაზუსტი და არარელევანტური მონაცემების გაცემა ამ უფლებაში ჩარევას უტოლდება.[30] ამასთანავე, სასამართლოს აზრით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე სამოქალაქო სექტორისა[31] და ჟურნალისტების[32] ინფორმირებულობას.[33]

[30] *Association Burestop 55 and Others v. France*, no. 56176/18, 2021.07.01, § 85.

[31] *Cangı v. Turkey*, no. 24973/15, 2019.01.29.

[32] *Rovshan Hajiyev v. Azerbaijan*, nos. 19925/12 and 47532/13, 2021.12.09, §§ 65-67.

[33] **შოვის ტრაგედიის შემდგომ ეტაპზე მედიასაშუალებებს დროის გარკვეულ მონაკვეთში შეზღუდული ჰქონდათ საქმიანობა,** იხ. მაგ. მთის ამბების ფეისბუქ-გვერდი, 03.09.2023, ხელმისაწვდომია: https://m.facebook.com/mtisambebi/posts/pfbid02Sc9hU7JrvE759suxcFZFMzYmspfzoYC67zcZUcUZcAioQxcPiGGQzXV9nzqJYMjFl [19.10.2023]; **ფოტოსა და ვიდეოს გადაღების უფლება შეზღუდული ჰქონდათ ადგილზე მყოფ მოხალისეებსაც,** იხ. მაგ. მთის ამბების ფეისბუქ-გვერდი, 03.09.2023, ხელმისაწვდომია: https://m.facebook.com/mtisambebi/posts/pfbid02Sc9hU7JrvE759suxcFZFMzYmspfzoYC67zcZUcUZcAioQxcPiGGQzXV9nzqJYMjFl [19.10.2023]; **მედიასაშუალებებით ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან შეურაცხყოფისა და უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ შემთხვევის გაშუქების პროცესში ჩართული ჟურნალისტის მიმართ,** იხ. მაგ. მთის ამბების ფეისბუქ-გვერდი, 03.09.2023, ხელმისაწვდომია: https://m.facebook.com/mtisambebi/posts/pfbid02Sc9hU7JrvE759suxcFZFMzYmspfzoYC67zcZUcUZcAioQxcPiGGQzXV9nzqJYMjFl, [19.10.2023]; ასევე, **სოციალურ ქსელსა და მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანოები მედია საშუალებას მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას არ აწვდიან; იხ. მაგალითად: მთის ამბები, გარემოს ეროვნული სააგენტო შოვის სტიქიურ უბედურებაზე საჯარო ინფორმაციას ასაიდუმლოებს,** 16.08.2023, ხელმისაწვდომია: https://mtisambebi.ge/news/item/1656-garemos-erovnuli-saagento-shovis-stiqiur-ubedurebaze-sajaro-inpormazias-asaidumloebs, ბოლო ნახვა: 19.10.2023.

II. კატასტროფების რისკების მართვასთან დაკავშირებული საკითხები

ამ თავში განხილულია საკითხები, რომლებზეც პასუხების მიღება არსებითია, რათა დადგინდეს: რამდენად სათანადოდ პასუხობს საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და მისი აღსრულების პრაქტიკა ბუნებრივი კატასტროფების რისკებსა და საფრთხეებს, ვინ არის პასუხისმგებელი მათ პრევენციასა და რეაგირებაზე და რა ცვლილებებია საჭირო მომავალში ადამიანთა უსაფრთხოების სათანადოდ დასაცავად.

საკითხი N1: ვინ არის ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო კატასტროფების რისკების მართვაზე?

ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის ყველა ეტაპზე ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.[34] სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სისტემის სხვა სუბიექტებს ასევე განეკუთვნებიან: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალიტეტის ორგანოები და სახელმწიფო რწმუნებულები, რომელთა კომპეტენციებიც დეტალურად განისაზღვრება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.[35] ამ დადგენილების მიხედვით, საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფის, მათ შორის, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ეტაპებზე, ძირითადი მმართველი სტრუქტურა არის საგანგებო სიტუაციებზე მართვის სამსახური, დამხმარე ფუნქციებს კი სხვადასხვა სამინისტრო ასრულებს, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროც.[36]

საკითხი N2: რამდენად სრულყოფილია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონი?

2018 წლიდან საქართველოში მოქმედებს **„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი,** რომელიც ქმნის ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ სისტემას და ადგენს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების კომპეტენციებს.[37] კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეებისა და რისკების მართვაზე და შინაარსობრივად ასახავს სენდაის ჩარჩო-დო-

[34] იქვე.

[35] საქართველოს მთავრობის დადგენილება №508 სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ (24 სექტემბერი, 2015), მე-3 თავი ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2993918?publication=0, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[36] ჩაშლილად ფუნქციები იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №508 სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ (24 სექტემბერი, 2015), მე-3 თავი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2993918?publication=0, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[37] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=6, ბოლო ნახვა: 14.09.2023.

კუმენტის პრიორიტეტებსა და მიზნებსაც. საფრთხეებისა და რისკების სამართავად კანონი ადგენს ოთხ ძირითად მიმართულებას და ქმნის ერთგვარ საფეხუროვან სისტემას: საგანგებო სიტუაციის პრევენცია; საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა; საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება; აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.[38]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის მიხედვით, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ <u>არ არის</u> მიღებული „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის სათანადოდ ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა კანონქვემდებარე აქტი. კონკრეტულად კი, „არ რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად: სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მათი ზედამხედველობა, საგანგებო სიტუაციის შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნა, მუნიციპალიტეტებისა და პოტენციურად საშიში ობიექტების უსაფრთხოების პასპორტების შემუშავება, საგანგებო სიტუაციის ზონაში სავალდებულო ოპერაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების ოპერატიულად განხორციელება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით და ა.შ.“[39]

აღსანიშნავია, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის თავდაპირველი ვარიანტის 72-ე მუხლი ადგენდა ამ კანონის ქვეშ მისაღები/გამოსაცემი ნორმატიული აქტების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს.[40] მათი მიღების ვადად განისაზღვრა 2019 წელი. კონკრეტულად, 2019 წლის 1-ელ იანვრამდე საქართველოს მთავრობას უნდა მიეღო 21 სხვადასხვა დადგენილება, რომელთაგან 17 ამ დრომდე არ არის მიღებული.[41] ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე უნდა მიეღო 13 ნორმატიული აქტი. ამ დრომდე მიღებული არ არის 7 მათგანი.[42] სხვადასხვა ეტაპზე რამდენჯერმე გადაიწია ამ ვალდებულებათა შესრულების ვადებმა. კანონის ამჟამინდელი ვარიანტიდან კი 72-ე მუხლი სრულად არის ამოღებული.

კითხვა N2.1: უნდა განიმარტოს, რა მიზეზებით ამოიღეს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლი და დადგინდეს, რატომ არ არის მიღებული ამ კანონის პირველი ვერსიის 72-ე მუხლით განსაზღვრული დადგენილებებისა და ნორმატიული აქტების უმრავლესობა.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საქართველოს პარლამენტი.

[38] იქვე, მე-4 მუხლი.

[39] „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა“ (2022), თავი 2.11, ხელმისაწვდომია: https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53629, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[40] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, პირველადი სახე (06/07/2018 - 22/12/2018), 72-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/iou45, ბოლო ნახვა: 15.10.2023.

[41] მიღებული არ არის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი ვერსიის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“, „ს“, „ტ“, „უ“, „ფ“ პუნქტებით განსაზღვრული დადგენილებები.

[42] მიღებული არ არის „სამოქალაქო უსაფრთხოებს შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი ვერსიის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ვ“, „თ“, „ი“, „კ“, „მ“ პუნქტებით განსაზღვრული ნორმატიული აქტები.

საკითხი N3: არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი?

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა არსებობდეს ე.წ. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი.[43] ეს არის წინასწარ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხს, მოსალოდნელ შედეგებს, მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ საგანგებო სიტუაციის პრევენციისთვის გაწეული საქმიანობის შეფასების, ასევე საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების წესს.[44] უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების რეგულირება გაწერილია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილებით „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“,[45] რომლის მიხედვითაც, უსაფრთხოების პასპორტი იქმნება მუნიციპალიტეტის მიერ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კოორდინაციით.[46] მას თან უნდა დაერთოს მუნიციპალიტეტის რუკაც, რომელზეც ასახული უნდა იყოს პოტენციური რისკის ზონები და მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების სავარაუდო შედეგების შესახებ ინფორმაცია.[47] ამ დადგენილების მიხედვით, უსაფრთხოების პასპორტი მუშავდება ყოველწლიურად.[48] თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ უსაფრთხოების პასპორტი მუნიციპალიტეტის, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის უნდა იყოს ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კონკრეტული რისკის მართვისთვის აუცილებელ ინფორმაციას და რომლის საფუძველზეც უნდა ხდებოდეს ბუნებრივი კატასტროფისგან მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება და შემცირება.

---

[43] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.
[44] იქვე, მე-3 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტი.
[45] საქართველოს მთავრობის დადგენილება №48 „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ (4 თებერვალი, 2021), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5095237?publication=0, ბოლო ნახვა: 15.09.2023.
[46] იქვე, მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[47] იქვე, მე-4 მუხლი, მე-2 ნაწილი.
[48] იქვე, მე-2 მუხლი, მე-3 ნაწილი.

კითხვა N3.1: აუცილებელია, დადგინდეს, არსებობს თუ არა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უსაფრთხოების პასპორტები რაჭასა და გურიაში სტიქიებით დაზარალებულ მუნიციპალიტეტებში და ერთვის თუ არა მათ შესაბამისი რისკის მიხედვით ზონირებული რუკები.

კითხვის ადრესატი: ონის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კითხვა N3.2: მათი არარსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, რატომ არ შეასრულეს მუნიციპალიტეტებმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად მათთვის კანონით განსაზღვრული ვალდებულებები და რატომ არ დადგა დღის წესრიგში მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

კითხვის ადრესატი: ონის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კითხვა N3.3: თუ არსებობს, უნდა შეფასდეს: რამდენად შეესაბამება ისინი „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს; შემუშავდა თუ არა ისინი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მჭიდრო კოორდინაციით; რისკების შეფასების, მათი შემცირებისა და მათზე რეაგირების ზომების განსაზღვრისას, ასევე, შესაბამისი რუკების შედგენისას გარემოს შესახებ რა ტიპის ინფორმაცია იყო გამოყენებული; მიმართეს თუ არა მუნიციპალიტეტებმა გარემოს ეროვნულ სააგენტოს ან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი, ზუსტი ინფორმაციისა და მონაცემების გამოთხოვნის მიზნით; რა ღონისძიებებს განსაზღვრავდა უსაფრთხოების პასპორტი რისკების შემცირებისა და მათზე რეაგირების მიზნით; რამდენად ზუსტად იყო შედგენილი რისკების მიხედვით ზონირებული რუკები.

კითხვის ადრესატი: ონის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კითხვა N3.4: უსაფრთხოების პასპორტების არსებობის შემთხვევაში, რომელთა მიზანიც ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაა, უნდა დადგინდეს, რატომ არ არის ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი.

კითხვის ადრესატი: ონის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საკითხი N4: არსებობს თუ არა საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირებისა და მართვის პოლიტიკის დოკუმენტები?

საქართველოს ჰქონდა კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისთვის.[49] **მისი განახლებული ვარიანტი ჯერჯერობით არ არსებობს.** ამ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები 2017-2020 წლებს მოიცავს, რაც ნიშნავს, რომ მასში გაწერილი კონკრეტული სამუშაოს შესრულების ვადა 4 წელს შეადგენდა. ამისთვის გათვალისწინებული იყო შესაბამისი ბიუჯეტიც.[50] ამიტომ, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რამდენად განხორციელდა ეს ღონისძიებები და იყო თუ არა ისინი ეფექტიანი. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, უნდა განიმარტოს შესაბამისი მიზეზები.

კითხვა N4.1: აუცილებელია, დადგინდეს, რატომ არ არსებობს კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლებული ვარიანტები. საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტი მხოლოდ 2017-2020 წლების პერიოდს ფარავს.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა.

კითხვა N4.2: ამასთანავე, უნდა დადგინდეს, რამდენად შესრულდა 2017-2020 წლების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები და რამდენად ეფექტიანი იყო განხორციელებული ქმედებები. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, უნდა განიმარტოს შესაბამისი მიზეზები. ამასთანავე, უნდა დადგინდეს, რამდენად სწორად და მიზნობრივად გაიხარჯა სამოქმედო გეგმით გაწერილი კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად გათვალისწინებული თანხა. აუცილებელია, რომ ეს ინფორმაცია დადასტურებული იყოს შესაბამისი დოკუმენტებით.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა.

2017-2020 წლების სტრატეგიასა (შემდეგში „სტრატეგია“) და სამოქმედო გეგმაში ინტეგრირებული იყო სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის, „მდგრადი განვითარებისა“ და გაეროს „კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო-კონვენციის“ მიზნები. ეს სტრატეგია ეფუძნებოდა „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015-2018 წლის დოკუმენტს“, რომელშიც იდენტიფიცირებული იყო, თუ რა ტიპის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენები, მიწისძვრები, სეტყვა, ზვავები, ძლიერი ქარები, ტყის და ველის ხანძრები, გვალვა, წყლისმიერი ეროზიული პროცესები და სხვა) რისკის წინაშე იდგა ქვეყანა. მისი მიზანი ამ რისკების შემცირება და შესაძლო ზიანის შემსუბუქება იყო. სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივ დონეზე უნდა ხდებოდეს საფრთხეების შეფასება, რისკის იდენტიფიცირება,

[49] საქართველოს მთავრობის დადგენილება №4, „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (11 იანვარი, 2017).

[50] საქართველოს მთავრობის დადგენილება №4-ის დანართი №2, „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2017-2020 წწ“.

ანალიზი, შეფასება და მისი შემცირების ღონისძიებების გატარება.[51]

კითხვა N4.3: როგორც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ვებგვერდზეა მითითებული, მიმდინარეობს საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის განახლება.[52] საჯაროდ ხელმისაწვდომი ბოლო ვერსია 2015-2018 წლებს მოიცავს. მნიშვნელოვანია, დადგინდეს, განახლდა თუ არა ის, ვინაიდან დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, ასევე, განიმარტოს, რატომ გაჭიანურდა ეს პროცესი.

კითხვის ადრესატი: ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, საქართველოს მთავრობა.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის“ შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უწყებრივი სამოქმედო გეგმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე კატასტროფის რისკის შემცირების ეფექტიანი სისტემის შექმნა.

კითხვა N4.4: აუცილებელია, დადგინდეს, აქვთ თუ არა უწყებრივი სამოქმედო გეგმები რაჭისა და გურიის დაზარალებულ მუნიციპალიტეტებში. უწყებრივი სამოქმედო გეგმები უნდა ემსახურებოდეს უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას. უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა ამ მიმართულებით მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფდა ბუნებრივი კატასტროფით გამოწვეული მსხვერპლის თავიდან არიდებას, შემცირებას.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა; ონის, ლანჩხუთის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები.

საკითხი N5: რატომ არ არსებობდა ადრეული გაფრთხილების სისტემა?

შეფასების მიზნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, განიმარტოს, რას ნიშნავს ადრეული გაფრთხილების სისტემა, რა კომპონენტებისგან შედგება ის და რა კითხვები შეიძლება არსებობდეს შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების მიმართ მათი სათანადოდ ფუნქციონირების კუთხით. ადრეული გაფრთხილების სისტემა საკმაოდ კომპლექსური მექანიზმია. ის რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭიროა, ყველა ამ კომპონენტის გამართულად მუშაობა.[53] ქვემოთ მიმოხილულია თითოეული მათგანი.

[51] საქართველოს მთავრობის დადგენილება №4-ის დანართი №1, „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია - 2017-2020“ (2017), 3.3.1.

[52] ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, „საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/BSU49, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[53] WMO, “Overview of the Early Warnings for All: Executive Action Plan 2023–2027”, ხელმისაწვდომია: https://public.wmo.int/en/resources/bulletin/overview-of-early-warnings-all-executive-action-plan-2023%E2%80%932027, ბოლო ნახვა: 14.09.2023.

i. რისკების გამოვლენა და შეფასება

უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენად არის წინასწარ გამოვლენილი და შეფასებული ქვეყანაში ბუნებრივი კატასტროფების რისკები და მათგან მომდინარე საფრთხეები. ეს მოითხოვს ქვეყანაში მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის არსებობას, რომელშიც აისახება ინფორმაცია მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების შესახებ და მათ მიმართ ადამიანებისა თუ სხვადასხვა სექტორის მოწყვლადობის ხასიათი. რისკის იდენტიფიცირება უმნიშვნელოვანესი საფეხურია, რათა ამის მიხედვით ჩამოყალიბდეს შესაბამისი და ზუსტი ადრეული გაფრთხილების სისტემა.

კითხვა N5.1: რაჭისა და გურიის სტიქიების შემთხვევაში, აუცილებელია, დადგინდეს, მიმდინარეობდა თუ არა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ საჭირო ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების რისკების დასადგენად. ამასთანავე, საჭიროა, დადგინდეს, რა სისტემური ხარვეზები არსებობს ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების დროს და რა პრობლემებს აწყდებიან გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ამ პროცესში. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ წარმოადგინოს ინფორმაცია, რა ნაბიჯები გადაიდგა ხარვეზების გამოსასწორებლად და რატომ ვერ გადაიჭრა არსებული პრობლემები.

კითხვის ადრესატი: გარემოს ეროვნული სააგენტო.

კითხვა N5.2: ამასთანავე, რაჭის შემთხვევაში, აუცილებელია, დადგინდეს, რატომ არ მოხდა კონკრეტული რისკებით დაინტერესება იმ პირობებში, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა დროს აწვდიდა მუნიციპალიტეტს ინფორმაციას შოვში განვითარებული ბუნებრივი კატასტროფების შესახებ და რატომ არ გადაიდგა ან/და რა კონკრეტული ღონისძიებები გატარდა საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებული რისკების შესამცირებლად.[54] აუცილებელია, დადგეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა, თუ დადასტურდება, რომ ადგილობრივთა მიერ ინფორმირებულმა პირებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულებები, მიეღოთ ყველა ზომა რისკის სამართავად და საფრთხის თავიდან ასარიდებლად.

ასევე, აუცილებელია, დადგინდეს, მოხდა თუ არა შოვში რისკების სრულყოფილად შესწავლა მას შემდეგ, რაც გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2021 წლის გეოლოგიურ ბიულეტენში შოვის ინფრასტრუქტურა ღვარცოფის მიმართ მოწყვლადად შეაფასა.

კითხვის ადრესატი: ონის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, გარემოს ეროვნული სააგენტო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

[54] სოციალურ ქსელ Facebook-ით 2020 წელს გავრცელებული ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/opwFK, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

კითხვა N5.3: გურიის შემთხვევაში, აუცილებელია, შეფასდეს, რატომ არ ხდებოდა ან ხდებოდა თუ არა რისკების სათანადოდ გამოკვლევა - წყალდიდობისა და მეწყრის მიმართ სხვადასხვა ზონისა და პირთა მოწყვლადობის შეფასება, მდინარე სუფსაში მიმდინარე მოპოვებითი სამუშაოების ზედამხედველობა, კონტროლი და ამ საქმიანობით გარემოზე მიყენებული შესაძლო ზიანისგან გამოწვეული რისკებით დაინტერესება და მათი იდენტიფიცირება.[55]

კითხვის ადრესატი: წიაღის ეროვნული სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

ii. მონიტორინგი

რისკებისა და მოწყვლადობის გამოვლენის შემდეგ, აუცილებელია, მუდმივად მიმდინარეობდეს ამ რისკების მონიტორინგი, ინფორმაციის განახლება და მისი გაანალიზება. ამისთვის საჭიროა როგორც შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, ისე ადგილობრივ დონეზე საზოგადოების დაკვირვების შედეგების გათვალისწინება. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია მეტეოროლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგზე.[56]

კითხვა N5.4: რაჭასა და გურიაში განვითარებული მოვლენების შესაფასებლად, უნდა დადგინდეს, აწარმოებდა თუ არა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო მონიტორინგს სტიქიით დაზარალებულ მუნიციპალიტეტებში და რატომ ვერ მოხდა საფრთხის დროულად იდენტიფიცირება. აუცილებელია, დადგინდეს, არსებობდა თუ არა სტიქიის ზონებში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებისთვის საჭირო პუნქტები.

კითხვის ადრესატი: გარემოს ეროვნული სააგენტო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2022-2026 წლებისთვის განსაზღვრული გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის მიხედვით, ამ ეტაპზე საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო პუნქტების რაოდენობა ოპტიმალურის მხოლოდ 20-30%-ს შეადგენს, ხოლო გეოლოგიის სფეროში იგივე მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია.[57] ამავე დოკუმენტის მიხედვით, ჯერ კიდევ არ არსებობს გეოლოგიური საფრთხეების GIS მონაცემთა ბაზა, რომელიც რეგულარულად განახლდება. ამასთანა-

[55] „ფორმულას“ ეთერში გასული რეპორტაჟი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/TVFormula/videos/850552129758886, ბოლო ნახვა: 02.11.2023.
[56] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი, ხელმისაწვდომია: https://nea.gov.ge/ge/Legislations, ბოლო ნახვა: 15.09.2023.
[57] „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა“ (2022), თავი 2.11. ხელმისაწვდომია: https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53629, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

ვე, პროგრამის მიხედვით, აუცილებელია გეოლოგიური საფრთხეების ზონირებისა და მათ მოსამზადებლად საჭირო სხვადასხვა თემატიკის (გეოლოგია, ჰიდროლოგია, ტექტონიკა და სხვა) რუკების შედგენა და განახლება.

კითხვა N5.5: შესაბამისად, აუცილებელია, დადგინდეს, არსებობდა თუ არა სტიქიის ზონებში გეოლოგიური ზონირების რუკები, რომლებიც უნდა ასახავდეს კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელ გეოლოგიურ საფრთხეებს. არარსებობის შემთხვევაში, უნდა განიმარტოს ამის მიზეზები. არსებობის შემთხვევაში კი, უნდა დადგინდეს, რამდენად ასახავდა ისინი რეალობას.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, გარემოს ეროვნული სააგენტო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ონის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები.

iii. ინფორმაციის გავრცელება

მიღებული ინფორმაცია სწრაფად და ეფექტიანად უნდა მიეწოდებოდეთ რისკის ქვეშ მყოფ პირებს. ამისთვის, აუცილებელია, არსებობდეს შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად: საგანგაშო სასიგნალო მოწყობილობები, SMS შეტყობინება, ტელევიზია და რადიო, სპეციალურად შექმნილი აპლიკაციები და სხვა. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს გასაგები და ქმედითი.

კითხვა N5.6: რაჭისა და გურიის სტიქიების შემთხვევაში, აუცილებელია, დადგინდეს, რისკის გაანალიზებისა და საფრთხის იდენტიფიცირების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა სტიქიის ზონაში მოხვედრილი ადამიანებისთვის სათანადო ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მიწოდება. არსებობს თუ არა ქვეყანაში ამისთვის საჭირო ტექნოლოგიური საშუალებები.

კითხვის ადრესატი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს მთავრობა, ონის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიები და საკრებულოები.

iv. გაფრთხილებაზე სათანადო რეაგირების შესაძლებლობა

რისკის ქვეშ მყოფ პირებს უნდა ჰქონდეთ მიღებულ გაფრთხილებაზე სათანადოდ რეაგირების საშუალება. ეს შეიძლება გულისხმობდეს, მაგალითად, სპეციალური საევაკუაციო გეგმის არსებობას, თავდაცვითი მექანიზმების ცოდნას, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული მითითებების ზედმიწევნით შესრულების შესაძლებლობას და სხვა.

კითხვა N5.7: რაჭისა და გურიის სტიქიებთან დაკავშირებით, აუცილებელია, დადგინდეს, სათანადო ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა სტიქიის ზონიდან ადამიანების დროული გაყვანა, არსებობს თუ არა ამისთვის საჭირო საევაკუაციო გეგმები და მათი აღსრულებისთვის საჭირო ტექნიკური, მატერიალური და ადამიანური შესაძლებლობები.

კითხვის ადრესატი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

v. რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს ადრეული გაფრთხილების სისტემასთან დაკავშირებით?

სენდაის სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს საქართველოც, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ამ სისტემის ინტეგრაცია თავისი პოლიტიკის დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში, ინვესტიციები ჩადოს ადრეული გაფრთხილების სისტემების ჩამოყალიბებასა და შესაბამისი შესაძლებლობების გაზრდაში. ამ სისტემის განვითარებას ითვალისწინებს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონიც.[58]

საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიის მიხედვით, რომელიც ამ დოკუმენტის მე-3 თავშია განხილული, პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას ადრეული გაფრთხილებისა და განგაშის სისტემები. ამ კონტექსტში, სტრატეგიის მიხედვით, აუცილებელი იყო მაღალი რისკის უბანზე შესაბამისი სისტემების შექმნის გზებისა და შესაძლებლობების შესწავლა. უნდა შემუშავებულიყო განგაშის სისტემის სტანდარტები და ერთიანი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელი იქნებოდა ადამიანებისთვის ინფორმაციის დროული და ეფექტიანი მიწოდება მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმა მოიცავდა კონკრეტულ ღონისძიებებს ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარების კუთხით სხვადასხვა ტიპის რისკის შემცირებისა და საფრთხის თავიდან არიდების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიებები არ ფარავდა კონკრეტულად რაჭისა და გურიის სტიქიით დაზარალებულ ადგილებს, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებები, რომელთა შესრულების მაქსიმალურ ვადად 2020 წელი იყო განსაზღვრული.[59]

[58] სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

[59] საქართველოს მთავრობის დადგენილება №4-ის დანართი №2, „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2017-2020 წწ“.

კითხვა N5.8: რაჭისა და გურიის დაზარალებულ მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით, აუცილებელია, დადგინდეს, იდენტიფიცირებული იყო თუ არა ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონები და რატომ არ არსებობდა ადრეული გაფრთხილების სისტემები.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, ონის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები.

კითხვა N5.9: რაჭისა და გურიის სტიქიებთან დაკავშირებით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობის გამოსაკვეთად, აუცილებელია, შეფასდეს, რატომ არ არსებობდა იქ ადრეული გაფრთხილების სისტემები.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, ონის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები.

კითხვა N5.10: უნდა დადგინდეს, შესრულდა თუ არა „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული ქმედებები, რომლებიც სხვადასხვა ადგილზე ადრეული გაფრთხილების სისტემის განვითარებას გულისხმობდა.

კითხვის ადრესატი: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო.

საკითხი N6: არსებობდა თუ არა საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმები?

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შემუშავდა „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესები“. სწორედ ამ წესების მიხედვით უნდა იგეგმებოდეს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებები. რისკის მართვის გეგმების მიზანი მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციით, მათ შორის, ბუნებრივი კატასტროფით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცირებაა.[60] ამ დადგენილების თანახმად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით უნდა ქვეყნდებოდეს რისკისა და საფრთხის რუკები, აგრეთვე, რისკის შესაძლო განვითარების სცენარი.[61] საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს საგანგებო სიტუაციების რისკის, მისი გამომწვევი ფაქტორებისა და იმ მოქმედებების შესახებ, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს უსაფრთხოების მიზნით.

რისკის მართვის გეგმას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით, შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესაბამისი სუბიექტები.[62] აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ რისკის მართვის გეგმა მუშავდება ეროვნულ

[60] საქართველოს მთავრობის დადგენილება №453 „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ (6 ოქტომბერი 2017), 1-ლი მუხლი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3824640?publication=0, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[61] იქვე, მე-2 მუხლი.

[62] იქვე, მე-3 მუხლი.

დონეზე, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ კი - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში. ამ პროცესში საჭიროა საფრთხის წინაშე მყოფი ყველა იმ სოციალური, ეკონომიკური სექტორისა და შესაძლო საგანგებო სიტუაციის ზონის დადგენა, რომელთათვისაც არსებობს მნიშვნელოვანი პოტენციური რისკი. დადგენილება დეტალურად განსაზღვრავს, როგორ, რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს რისკისა[63] და შესაძლო ზეგავლენის შეფასება,[64] როგორ უნდა დაიყოს შესაძლო საგანგებო სიტუაციების ზონა ფიქსირებული საზღვრების მქონე ტერიტორიებად,[65] დადგინდეს მოწყვლადობა,[66] შემუშავდეს რისკის განვითარების სცენარები[67] და ა.შ.

დადგენილების მიხედვით, რისკის მართვის გეგმები უნდა შემუშავებულიყო არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრისა. ამასთანავე, ცვალებადი გარემოებების მიხედვით, რისკის მართვის გეგმები ექვემდებარება განახლებას არაუმეტეს ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო ახალი საფრთხის გამოვლენის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ.[68] შესაბამისად, 2023 წლამდე რისკის მართვის გეგმები უნდა განახლებულიყო 2-ჯერ მაინც. როგორც საქართველოს 2022-2026 წლებისთვის განსაზღვრულ გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაშიც ვკითხულობთ, **ამ ეტაპზე <u>არ არსებობს</u> სტიქიური მოვლენების რისკების მართვის დამტკიცებული გეგმები, რომლებითაც უნდა განისაზღვრებოდეს და შემდეგ ხორციელდებოდეს კონკრეტული რისკების შემარბილებელი სტრუქტურული თუ არასტრუქტურული ღონისძიებები.**[69]

<u>კითხვა N6.1:</u> „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების“ შესახებ დადგენილების გათვალისწინებით, აუცილებელია, დადგინდეს, შემუშავებულია თუ არა საგანგებო რისკის მართვის გეგმები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ - ეროვნულ და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ - ადგილობრივ დონეებზე, მათ შორის, რაჭასა და გურიაში სტიქიით დაზარალებულ მუნიციპალიტეტებში.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, ონის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

<u>კითხვა N6.2:</u> რაჭისა და გურიის სტიქიით დაზარალებულ მუნიციპალიტეტებში საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმების არსებობის შემთხვევაში, უნდა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება ისინი „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების“ შესახებ დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს, რამდენად სწორად და სრულყოფილად შეფასდა რისკები და შემუშავდა მათი პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებები.

[63] იქვე, მე-8 მუხლი.
[64] იქვე, მე-9 მუხლი.
[65] იქვე, მე-8 მუხლი.
[66] იქვე, მე-10 მუხლი.
[67] იქვე, მე-12 მუხლი.
[68] იქვე, მე-15 მუხლი.
[69] „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა“(2022), თავი 2.11, ხელმისაწვდომია: https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53629, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, ონის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები.

კითხვა N6.3: საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმების არარსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს შესაბამისი მიზეზები და განისაზღვროს კონკრეტული სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ონის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები.

საკითხი 7: რა შესაძლო ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს რაჭასა და გურიაში მიმდინარე საქმიანობებსა და ბუნებრივ კატასტროფებს შორის?

ბუნებრივი კატასტროფების განვითარებას ხელს უწყობს ადამიანის ჩარევა გარემოში. სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით, რაჭაში, მათ შორის, ყველაზე დიდი რაოდენობით - ონის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ხე-ტყის გაჩეხა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მეწყრული პროცესების განვითარებას.[70]

კითხვა N7.1: უნდა დადგინდეს კავშირი რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში ტყის გაჩეხასა და მომხდარ სტიქიურ უბედურებას შორის. უნდა შეფასდეს, რამდენად კანონიერად მიმდინარეობდა ტყის გაჩეხა, რამდენად კანონიერად იყო გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და სათანადოდ იყო თუ არა შეფასებული მისი შედეგები.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო.

ადამიანებისთვის ბუნებრივი კატასტროფების საფრთხის თავიდან არიდება შესაძლებელია, თუ ისინი არ იმყოფებიან/ცხოვრობენ მოსალოდნელი სტიქიის ზონაში. შესაბამისად, იდენტიფიცირებული რისკებისა და მათი სათანადოდ შეფასების პირობებში, ასეთ ადგილებში არ უნდა მიმდინარეობდეს მშენებლობები, ან უნდა არსებობდეს ამ საფრთხეების თავიდან არიდებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

[70] Global Forest Watch, „Racha-Lechkhumi-Kvemo Svaneti, Georgia“ (2022), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/aepR3, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

კითხვა N7.2: უნდა დადგინდეს, რა სახის სამშენებლო ნებართვები იყო გაცემული რაჭაში, სტიქიის ზონასა ან მიმდებარედ და რამდენად ჩატარდა ამ ნებართვების გაცემისთვის საჭირო სათანადო კვლევები.

კითხვის ადრესატი: ონის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

კითხვა N7.3: ასევე, აუცილებელია, შეფასდეს, რის საფუძველზე დამტკიცდა 2022 წლის 18 დეკემბერს კურორტ შოვის განაშენიანების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მომხდარი სტიქიის ზონაში სასტუმროს ტიპის საცხოვრებლების მშენებლობის უფლების გაცემას.[71]

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარი განვითარების სამინისტრო, ონის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

კითხვა N7.4: გურიასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, იდენტიფიცირებული იყო თუ არა დასახლებულ პუნქტებში ბუნებრივი კატასტროფის რისკები და საფრთხეები და რა შემარბილებელი ღონისძიებები გატარდა ამის გათვალისწინებით.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, გარემოს ეროვნული სააგენტო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიები და საკრებულოები.

კითხვა N7.5: ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, არსებობს ვარაუდი, რომ გურიაში სტიქიის შედეგები უკავშირდება მდინარე სუფსის კალაპოტიდან დიდი რაოდენობის ქვა-ღორღის უკონტროლო ამოღებას.[72] **შესაბამისად, უნდა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება ეს ვარაუდები სიმართლეს, რამდენად კანონიერია ამ ტერიტორიაზე მიმდინარე საქმიანობა და არის თუ არა სათანადოდ შეფასებული მისი ზემოქმედება გარემოზე.**

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, წიაღის ეროვნული სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

[71] „კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმა“ (2022), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/vDVZ6, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

[72] „სტიქიის მძიმე შედეგები გურიაში“, ირმა გორდელაძის ინტერვიუ, „ფორმულა“ (9 სექტემბერი, 2023), ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/TVFormula/videos/850552129758886, ბოლო ნახვა: 15.09.2023.

III. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ეტაპი

საკითხი N8: შეესაბამება თუ არა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ეტაპი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს?

აუცილებელია, შეფასდეს, შეესაბამებოდა თუ არა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით რეაგირების ეტაპისთვის განსაზღვრულ პირობებს რაჭასა და გურიაში განხორციელებული სამაშველო ოპერაციები. ამ კანონის თანახმად, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება ხდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად.[73] ეროვნული გეგმა ეფუძნება ერთიანი სისტემის სუბიექტების საგანგებო მართვისა და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმებს.[74] საგანგებო მართვის გეგმის შემუშავების წესს ადგენს საქართველოს მთავრობის №452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“.[75] საგანგებო მართვის გეგმას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით.[76] ეს გეგმები ექვემდებარება ყოველწლიურ, ხოლო ახალი საფრთხის გამოვლენის ან/და გეგმაში ასახული მონაცემების არსებითი ცვლილებების შემთხვევაში - დაუყოვნებლივ განახლებას.[77] საგანგებო გეგმით განისაზღვრება პრევენციული, მიტიგაციური, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებები მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის სცენარების შესაბამისად.[78] საგანგებო მართვის გეგმები და მათი დანართები ხელმისაწვდომი და საჯარო უნდა იყოს, გარდა საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.[79] ამის გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს, აქვთ თუ არა საგანგებო მართვის გეგმები საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტებს, რამდენად შეესაბამება ისინი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ახლდება თუ არა ყოველწლიურად და რამდენად ეფექტიანად მოქმედებს ისინი პრაქტიკაში.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მიხედვით, ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი ძირითადი ორგანო არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. საგანგებო სიტუაციების მართვა, თავის მხრივ, მოიცავს ასეთ დროს საგანგებო ვითარების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვას.[80] სწორედ ის არის ძირითადი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სამუშაოების კოორდინაციას, საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნას, აუცილებლობის

[73] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-12 ნაწილი.
[74] საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ ზემოთ - საკითხი N6.
[75] საქართველოს მთავრობის დადგენილება №452 „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ (6 ოქტომბერი, 2017), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/3824628?publication=0, ბოლო ნახვა: 25.10.2023.
[76] იქვე, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი.
[77] იქვე, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი.
[78] იქვე, მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.
[79] იქვე, მე-8 მუხლი.
[80] „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა“, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, ფუნქცია 1.

შემთხვევაში კი, საერთაშორისო სამაშველო ძალების ჩაბმის ორგანიზებას.[81] დამხმარე ფუნქციებს ასრულებს სხვადასხვა სამინისტრო და სააგენტო. კონკრეტულად, შესაბამისი ღონისძიებების გატარება სხვადასხვა უწყებაზე შემდეგნაირად ნაწილდება: (1) ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვას უზრუნველყოფს შსს-ს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; (2) ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვას უზრუნველყოფენ შსს-ს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები, მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.[82]

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის არსებობს შესაბამისი მართვის სქემა, რომელიც მოიცავს სამ დონეს:[83]

(1) **პირველი დონე,** როდესაც საგანგებო სიტუაციაზე პირველად რეაგირებას ახდენენ სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სახანძრო-სამაშველო რაზმი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;

(2) **მეორე დონე,** როდესაც პროცესში ერთვებიან მხარეში არსებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტები, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან სახანძრო-სამაშველო რაზმები, ავტონომიური რესპუბლიკის/სამხარეო საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, საგანგებო სიტუაციის მართვის პროცესს ხელმძღვანელობს მხარეში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომელიც კოორდინაციას უწევს მხარეში არსებული ყველა სათანადო ძალისა და რესურსის გამოყენებას კატასტროფაზე რეაგირების მიზნით;

(3) **მესამე დონე** შეესაბამება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნულ დონეს. ამ შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ოპერატიულ კოორდინირებას ახდენს შსს-ს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი, რომელშიც, საგანგებო სიტუაციის სახეობის შესაბამისად, გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის უფლებამოსილი პირები. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული რესურსები და ძალები არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციოდ, ცენტრი ამზადებს წინადადებებს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნით, რომელიც მიეწოდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს. მისი თანხმობის შემთხვევაში, საჭირო დახმარებების მოსაზიდად მოთხოვნის შესახებ სპეციალური ფორმით ეცნობება შესაბამის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი მემორანდუმები კატასტროფების დროს თანამშრომლობის თაობაზე.

[81] იქვე, ფუნქცია 4.
[82] „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა“, მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი.
[83] იქვე, მე-3 ნაწილი.

რაჭასა და გურიაში განვითარებული მოვლენების შესაფასებლად უნდა დადგინდეს, რამდენად სწრაფად და ეფექტიანად განისაზღვრა, თუ რა ტიპის საგანგებო სიტუაცია იყო წარმოქმნილი - ეროვნული თუ ადგილობრივი მნიშვნელობის - და რამდენად სწრაფად გატარდა შესაბამისი კატეგორიისთვის განსაზღვრული ქმედითი ღონისძიებები.[84]

საგანგებო სიტუაციაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის, აუცილებელია, არსებობდეს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელების კოორდინირებაზე ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი. დამხმარე ფუნქციებს ასრულებს სხვადასხვა სამინისტრო და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. რაჭასა და გურიასთან დაკავშირებით, აუცილებელია, დადგინდეს, არსებული რესურსებით რამდენად შესაძლებელი იყო მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებზე ეფექტიანი რეაგირება და ადამიანთა უსაფრთხოების დაცვა. აღსანიშნავია, რომ შოვში სტიქიის პირველ დღეს ოპერირებდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი სამაშველო ვერტმფრენი, რომელიც შემთხვევის ადგილზე სტიქიიდან სამ საათში მიფრინდა და, საჭირო განათების სისტემის არარსებობის გამო, ღამით ვერ შეძლო ფუნქციონირება.[85] 4 აგვისტოს დილის 6 საათიდან კი სამაშველო ოპერაციებში 2 ვერტმფრენი მონაწილეობდა.[86] საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, სტიქიის პირველ დღეს ქუთაისში მობილიზებული ვერტმფრენი რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო ვერ აფრინდა.[87] შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფრანგულ კომპანია „Airbus Helicopters-თან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სამ სამაშველო ვერტმფრენს საქართველო 2024 წლის განმავლობაში მიიღებს.[88]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დანართი განსაზღვრავდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც ასევე საყურადღებო მიმართულებებს განეკუთვნება და მათ შესასრულებლად საქართველოს მთავრობას უნდა განეხორციელებინა შესაბამისი ქმედებები საჭირო დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით.[89] ამ დანართის 22-ე პუნქტი უშუალოდ შეეხებოდა დამატებითი რესურსების მოძიების საჭიროებას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პირადი შემადგენლობის სპეციალური ტექნიკითა და აღჭურვილობით უზრუნველყო-

[84] „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-15 მუხლი.

[85] „მიატოვა თუ არა განსაცდელში სახელმწიფომ მოქალაქეები შოვში? - რა მუხლებით უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება“, „რადიო თავისუფლება“ (16.08.2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/avwX9, ბოლო ნახვა: 18.09.2023.

[86] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება (4 აგვისტო, 2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/auHL4, ბოლო ნახვა: 15.10.2023.

[87] „არ იყო აღარაფერი აუცილებლობა ამის“ - რატომ არ აფრინდა სტიქიის ღამეს ვერტმფრენი შოვში“, „რადიო თავისუფლება“ (10 აგვისტო, 2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/lCHJ6, ბოლო ნახვა: 15.10.2023.

[88] „რა ვიცით სტიქიაზე შოვში [3-10 აგვისტოს ქრონოლოგია]“, netgazeti.ge, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/682965/, ბოლო ნახვა: 18.09.2023.

[89] საქართველოს მთავრობის დადგენილება №4, „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (11 იანვარი, 2017), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ejQ16, ბოლო ნახვა: 15.10.2023.

ფისთვის. კონკრეტულად, ამ პუნქტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას დამატებით 27 400 000 ლარი უნდა მოეძიებინა. შესაბამისად, აუცილებელია, დადგინდეს, რა ნაბიჯები გადაიდგა ამ კუთხით, რა თანხის მოძიება გახდა შესაძლებელი და რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა ის.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი აღჭურვილობის არარსებობის პირობებში სახელმწიფომ დახმარება არ სთხოვა მეზობელ ქვეყნებს. ამიტომ, უნდა დადგინდეს, რა საფუძვლით შეიკავა მან თავი ამ დახმარების მიღებისგან და რამდენად იყო მისი ეს ქმედება გამართლებული.[90]

ამასთანავე, აუცილებელია, შეფასდეს, რამდენად გამართულად მოქმედებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესი.[91] მაგალითად, ჩამოყალიბებულია თუ არა საერთაშორისო დახმარების მიღების ჯგუფი,[92] საერთაშორისო დახმარებისთვის მზადყოფნის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი მიზნობრივი ჯგუფი[93] და ა.შ.

კითხვა N8.1: უნდა დადგინდეს, სათანადოდ არის თუ არა შედგენილი სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა და იძლევა თუ არა ის საგანგებო სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირების საშუალებას.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა.

კითხვა N8.2: უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა და რამდენად სათანადოდ არის შედგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები. არარსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს შესაბამისი მიზეზები და განისაზღვროს კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სამოქალაქო უსაფრთხოების ერთიანი სისტემის სხვა სუბიექტები.

კითხვა N8.3: უნდა დადგინდეს, რამდენად სწრაფი და ეფექტიანი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრის ქმედებები სტიქიით დაზარალებულ მუნიციპალიტეტებში, ასევე, აქვთ თუ არა მათ კონკრეტული სამოქმედო გეგმები, რომელთა შესაბამისადაც ისინი უწყებრივად რეაგირებენ.

კითხვის ადრესატი: საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრები, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.

[90] „არაფერი დაგვიკლია“ - რატომ არ სთხოვა სახელმწიფომ დახმარება მეზობელ ქვეყნებს?“ Bm.ge (10.08.2023), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/EKRY3, ბოლო ნახვა: 18.09.2023.

[91] საქართველოს მთავრობის დადგენილება №501 „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ (14 აგვისტო, 2020), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4964133?publication=0, ბოლო ნახვა: 15.10.2023.

[92] იქვე, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ პუნქტი.

[93] იქვე, მე-7 მუხლი.

კითხვა N8.4: უნდა დადგინდეს, რამდენად სათანადოდ შესრულდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმით განსაზღვრული მართვის სქემა, რომელიც, საგანგებო სიტუაციის ხასიათიდან გამომდინარე, განსაზღვრავს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის წესებს და მასზე პასუხისმგებელ პირებს. ასევე, უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა სამივე დონეზე შესაბამისი მართვის გეგმები და პასუხობს თუ არა ისინი სამოქალაქო უსაფრთხოების მიზნებს.

კითხვის ადრესატი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საქართველოს მთავრობა.

კითხვა N8.5: უნდა დადგინდეს, რატომ არ აქვს ქვეყანას სათანადო რაოდენობის სამაშველო ვერტმფრენები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ცალ-ცალკე, რომლებიც მობილიზებული იქნება მომეტებული რისკის მქონე ადგილებთან ახლოს, რათა სწრაფად და ეფექტიანად შეძლონ დახმარების აღმოჩენა. უნდა დადგინდეს, რატომ არ არის ამ ეტაპისთვის საქართველოში არსებული ვერტმფრენები გამართული და სათანადოდ აღჭურვილი. ამასთანავე, უნდა შეფასდეს, რამდენად გონივრულ ვადაში (3 საათი შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სტიქიის ზონაში მიფრენამდე) მიფრინდა სამაშველო ვერტმფრენი თბილისიდან სტიქიის ზონამდე.

კითხვის ადრესატი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობა.

კითხვა N8.6.: უნდა დადგინდეს და დასაბუთდეს, რატომ არ სთხოვა საქართველომ დახმარება მეზობელ ქვეყნებს არასათანადო აღჭურვილობის პირობებში და რატომ არ მიიჩნია მათი დახმარება მნიშვნელოვნად. ამასთანავე, აუცილებელია, დადგინდეს, რამდენად სათანადოდ სრულდება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესით განსაზღვრული პირობები და არის თუ არა საქართველოში არსებული კატასტროფის რისკის მართვის სისტემა მზად საერთაშორისო დახმარების სწრაფად და ეფექტიანად მისაღებად.

კითხვის ადრესატი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საქართველოს მთავრობა.

კითხვა N8.7: რა ნაბიჯები გადადგა საქართველოს მთავრობამ დამატებითი დაფინანსების მოსაძიებლად, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველეყო საჭირო პირადი შემადგენლობის სპეციალური ტექნიკითა და აღჭურვილობით. რა ოდენობის დაფინანსების მოძიება შეძლეს დამატებით და რამდენად მიზნობრივად გაიხარჯა ეს თანხა.

კითხვის ადრესატი: საქართველოს მთავრობა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

IV. ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვასთან დაკავშირებული საგამოძიებო პროცესი

საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არ იკვეთება, რომ შოვში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფოკუსი იმ უწყებების მუშაობის შესწავლაც არის, რომლებსაც, არსებული კანონმდებლობით, აქვთ ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების, პრევენციის, საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება. ასევე, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, არ იკვეთება, რომ გამოძიება მიმდინარეობს სამაშველო ღონისძიებების ეფექტიანობის საკითხის შესწავლის კუთხითაც.[94]

ეს საკითხები მნიშვნელოვანია, ვინაიდან გამოძიების მიზანი უნდა იყოს, შეისწავლოს, რამდენად შეიძლებოდა სტიქიის პროგნოზირება და მისი მძიმე შედეგების პრევენცია; როგორ დაგეგმა და წარმართა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ სამაშველო საქმიანობა; რამდენად დროულად და ეფექტიანად მოქმედებდნენ სახელმწიფო უწყებები სტიქიის ზონაში ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. ამ დრომდე გამოძიების ყურადღების მიღმაა დარჩენილი შოვში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებსა და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე (განსაცდელში მიტოვება) და 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებს.[95] ქვემოთ მიმოხილულია გამოძიებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები, რომელთა ადრესატებიც არიან როგორც გენერალური პროკურატურა, ისე შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში.

საკითხი N9: პრევენციული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საგამოძიებო პროცესი

გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რამდენად ჯეროვნად შეასრულეს საკუთარი მოვალეობა იმ სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც, შესაძლოა, პასუხისმგებელნი იყვნენ სტიქიური მოვლენების შედეგების პრევენციაზე.

კითხვა N9: მნიშვნელოვანია გამოირკვეს, ვინ არის ის პირი ან/და უწყება, რომელიც სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ყოველწლიურად მომზადებული ბიულეტენის გამოყენებასა და კატაკლიზმის შედეგების აცილებაზეა პასუხისმგებელი. პირთა გამოკვლევის შემდგომ უნდა დადგინდეს, რა ბერკეტები ჰქონდათ მათ მოვალეობის შესასრულებლად და რა მოიმოქმედეს ამისთვის. შესწავლის პროცესში, შესაძლებელია, გამოიკვეთოს სისტემური ხარვეზი, რომლის გადაჭრაც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

[94] „მიატოვა თუ არა განსაცდელში სახელმწიფომ მოქალაქეები შოვში? - რა მუხლებით უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება“ radiotavisupleba.ge, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gzFR4, ბოლო ნახვა: 24.10.2023.

[95] იხ. განცხადება: „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შოვსა და გურიაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ“, 02.10.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/samoqalaqo-sazogadoebis-organizaciebi-shovsa-da-guriashi-ganvitarebul-stiqiur-movlenebtan-dakavshirebit-efeqtiani-gamodziebis-chatarebas-itkhove№sthash.xQSmmd5V.dpbs, ბოლო ნახვა: 26.10.2023.

საკითხი N10: სტიქიურ მოვლენაზე რეაგირება

გამოძიებამ ასევე უნდა დაადგინოს, რამდენად ჯეროვნად მოხდა სტიქიურ მოვლენებზე რეაგირება **(დეტალურად იხ. თავი III),** რადგან, ფაქტია, 4 აგვისტოს ღამეს (დროის მონაკვეთი, რომელიც არსებითი მნიშვნელობის იყო ღვარცოფში მოყოლილი ადამიანებისთვის) სამაშველო სამუშაოებში ჩართული არ იყო ვერტმფრენი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით,[96] ეს ვერტმფრენები სასაზღვრო პოლიციას ეკუთვნის. სტიქიის ეპიცენტრში მყოფი მოსახლეობა და მოწმეები აცხადებენ, რომ ვერტმფრენი რამდენიმე საათის დაგვიანებით ჩაფრინდა შემთხვევის ადგილზე,[97] მაშინ, როდესაც დრო განსაკუთრებით ძვირფასი იყო ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად. საგამოძიებო ორგანოს ამ საკითხებზე ინფორმაცია საზოგადოებისთვის დღემდე არ მიუწოდებია.

კითხვა N10: შესწავლის საგანი უნდა იყოს, რატომ არ ჰყავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საკუთარი ვერტმფრენი და რამდენად ადეკვატურად პასუხობს შემთხვევის ადგილზე გამოყენებულ ვერტმფრენთა რაოდენობა, სახეობა, ტექნიკური მდგომარეობა/აღჭურვილობა იმ ტიპის სამაშველო სამუშაოების მოთხოვნებს, რომლებიც შოვში იყო ჩასატარებელი. ანალოგიური ტიპის კითხვები ჩნდება მაშველთა აღჭურვილობასთან მიმართებით.

საკითხი N11: რომელმა საგამოძიებო ორგანომ უნდა წარმართოს გამოძიება?

გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მათ შორის, გულისხმობს როგორც ინსტიტუციურ და იერარქიულ, ისე პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.[98] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს საქართველოს გენერალური პროკურორი, რომლის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება არეგულირებს ამ საკითხს. პირველი კითხვა, რომელიც გამოძიებასთან ჩნდება, არის ის, ვინ უნდა წარმართოს გამოძიება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არსებითია ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების ანალიზი. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად: *„გამოძიების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს საქმის გამოძიების წარმმართველი ორგანოს ინსტიტუციურ, იერარქიულ და პრაქტიკულ დამოუკიდებლობას. თავის მხრივ, დამოუკიდებლობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა განსაკუთრებით საგულისხმოა ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას.* [...] *ნებისმიერი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პროცესის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის სანდოობას, მიუხედავად მის შედეგად დამდგარი მოცემულობის სამართლიანობისა“*.[99]

---

[96] შსს-ის განცხადება, 03.08.2023, ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15894, ბოლო ნახვა: 19.10.2023.

[97] „რატომ ჩაფრინდა ვერტმფრენი შოვში მხოლოდ სამი საათის შემდეგ?“ gazetiachara.ge, ხელმისაწვდომია: http://gazetiajara.ge/2023/08/08/C/, ბოლო ნახვა: 24.10.2023.

[98] *Armani and Silva v. The United Kingdom*, no. 5878/08, 30.03.2016, § 232; *Bouyid v. Belgium*, no. 23380/09, 2015.09.28, §38.

[99] საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/4/1330, &13.

შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გამოძიების წარმართვა, 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, გენერალურ პროკურორს უნდა გამოეყენებინა საკუთარი უფლებამოსილება და გამოძიება სხვა საგამოძიებო უწყებისთვის დაექვემდებარებინა.[100] ისეთ მოცემულობაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ შესაძლო დანაშაულების ჩადენა, იმავე უწყების მიერ გამოძიების წარმოება ეწინააღმდეგება მისი დამოუკიდებლობის მოთხოვნას.

კითხვა N11: მნიშვნელოვანია, გენერალურმა პროკურატურამ უპასუხოს შეკითხვას, არსებული უფლებამოსილების პირობებში, რატომ არ დაიწყო გამოძიება ამ უწყებამ, ამასთანავე, როგორ ახორციელებს საპროკურორო ზედამხედველობას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ გამოძიებაზე.

საკითხი N12: რა კვალიფიკაციით უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება?

2023 წლის ოქტომბრის მონაცემებით, გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო სისხლის სამართლის კოდექსის ორი - 116-ე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) და 240-ე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა) მუხლებით აწარმოებს. თუმცა, სამაშველო ოპერაციების წარმართვის დროს მომხდარი ფაქტები და გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტაცია[101] აჩენს კითხვის ნიშნებს კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულების შესაძლო ჩადენის შესახებ, როგორიცაა სისხლის სამართლის 128-ე (განსაცდელში მიტოვება) და 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა) მუხლები.

კითხვა N12: მნიშვნელოვანია, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და მისი შედეგების თაობაზე. ამასთანავე, უწყებამ უნდა დაასაბუთოს, რატომ არ მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე და 342-ე მუხლებით გათვალისწინებული კვალიფიკაციით.

საკითხი N13: დაზარალებულთა ჩართულობა საგამოძიებო პროცესში

საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დაზარალებულთა უფლებამონაცვლეებს არ აქვთ საქმის მასალების ასლების მიღების შესაძლებლობა, შესაბამისად, მათი გაცნობა საგამოძიებო უწყებაში უწევთ.[102] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს

[100] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[101] იხ. განცხადება: „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შოვსა და გურიაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ“, 02.10.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/samoqalaqo-sazogadoebis-organizaciebi-shovsa-da-guriashi-ganvitarebul-stiqiur-movlenebtan-dakavshirebit-efeqtiani-gamodziebis-chatarebas-itkhoveNºsthash.xQSmmd5V.dpbs, ბოლო ნახვა: 26.10.2023.

[102] შოვში დაღუპულის ოჯახი საქმის სამოხელეო დანაშაულის მუხლით გამოძიებას ითხოვს, ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/7239271.html, ბოლო ნახვა: 24.10.2023.

სისხლის სამართლის საქმის მასალებს. საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში მიუთითებს: *„მხედველობაში მისაღებია, რომ სისხლის სამართლის მასალები წარმოადგენს სწორედ იმგვარ ინფორმაციას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ერთი მხრივ, დიდი მოცულობისაა, ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროებს კომპლექსურ შესწავლას, სკრუპულოზურ გამოკვლევასა და ანალიზს, აგრეთვე, სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას, სათანადო დარგობრივი კომპეტენციის ექსპერტის, იურისტის განმარტებასა თუ შეფასებას. შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ დაზარალებულმა საქმის მასალების ადგილზე წაკითხვის დროს დამოუკიდებლად ვერ შეძლოს შესაბამისი ინფორმაციის მართებულად, ადეკვატურად აღქმა, გააზრება, ინტერპრეტირება და, ამის გამო, ჩამოყალიბოს არასწორი დასკვნები გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ან სრულებითაც ვერ შეძლოს ინფორმაციის მიზნობრივად გამოყენება. მაშინ, როდესაც, თუ მას ხელთ ექნებოდა დოკუმენტების ასლები, შეძლებდა, სხვა დროსაც, უფრო მშვიდ გარემოში, განმეორებით გასცნობოდა მათ და მიეღო კვალიფიციური განმარტებები თუ კონსულტაციები. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქმის მასალების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, მათი გაცნობა, ზოგჯერ, შესაძლოა, მოითხოვდეს საკმაოდ ხანგრძლივ დროს, მათ შორის, მრავალსაათიან შრომასა და ყურადღების კონცენტრაციას. ისევე, როგორც სავსებით დასაშვებია, რომ საქმის დიდი მოცულობის შემთხვევაში დაზარალებულმა ვერ მოახერხოს ყველა იმ ინფორმაციის ამოწერა, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნია. ამდენად, სისხლის სამართლის მასალების მარტოოდენ ადგილზე გაცნობის და თუნდაც წერილობითი ჩანაწერების ხელით გაკეთების შესაძლებლობა დაინტერესებული პირისათვის (დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლისათვის) ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის ეფექტიანი, სრულფასოვანი გაცნობის შესაძლებლობას, აკნინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალურ შინაარსს, ხოლო, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, სრულიად აზრს მოკლებულს ხდიდეს მას“.*[103]

მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული განმარტებისა, პროკურატურა, კვლავ განაგრძობს არაკონსტიტუციურ პრაქტიკას და ქმნის პროცესუალურ ბარიერებს დაზარალებულთათვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში ჩართულობა ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც ასევე დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. ეს, მათ შორის, გულისხმობს გამოძიებისა და მისი შედეგების საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს პრაქტიკულ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.[104]

კითხვა N13: რატომ არ გადასცემს გამოძიების მწარმოებელი სუბიექტი დაზარალებულთა უფლებამონაცვლეებს საქმის მასალებს?

[103] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის No1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II §21.

[104] იხ. მრავალ სხვათა შორის: *Mckerr v. The United Kingdom*, no.28883/95, 2001.05.04, § 115; *Tahsin Acar v. Turkey*, no. 26307/95, 2004.04.08, § 225.